



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 88
 20/11/2017

88-07-4-201711201912



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №88
 2017 წლის 20 ნოემბერი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
 ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე
 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის,
 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ლანჩხუთის
 მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. არჩეულ იქნეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
 ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
 თანამდებობაზე გიორგი ჩახვაძე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ
 სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან
 ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო
 კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

